უწმინდესი პატრიარქი კირილე საპატრიარქოს აფრიკის საეგზარქოსოს დელეგაციას შეხვდა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 27.08.2025. 27 აგვისტოს, მოსკოვში, ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძრის საპატრიარქო დარბაზში, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ საპატრიარქოს აფრიკის საეგზარქოსოს დელეგაცია მიიღო, რომელსაც კაიროსა და ჩრდილოეთ აფრიკის მიტროპოლიტი კონსტანტინე ხელმძღვანელობს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი; უწმინდეს პატრიარქ კირილეს პირადი მდივანი, რამენის ეპისკოპოსი ალექსი; მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მრჩეველი, დეკანოზი ნიკოლოზ ბალაშოვი; სსკგ-ის თავმჯდომარის მოადგილე, დეკანოზი იგორ ვიჟანოვი და საპატრიარქოს აფრიკის საეგზარქოსოს დელეგაციის წევრები: საეგზარქოსოს მისიონერული განყოფილების თავმჯდომარე, მღვდელი გიორგი მაქსიმოვი; ეგზარქოსის თანაშემწე რელიგიური განათლებისა და

კატეხეზაციის საკითხებში, დეკანოზი ტიგრან ხაჩატრიანი; სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, კენიის, ტანზანიის, ნიგერიის, კამერუნის, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის, კონგოს რესპუბლიკის, უგანდის, ბურუნდის, მალავის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის, რუანდის, მადაგასკარის, კოტ-დ'ივუარის, ტოგოს, ბენინისა და ბურკინა-ფასოს საეკლესიო ოლქების კეთილმოწესენი; ასევე საეგზარქოსოს კლირიკოსები, რომლებიც მსახურობენ ანგოლაში, გაბონში, ზამბიაში და მავრიკიის კუნძულზე, – იტყობინება **მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახური.**

შეხვედრის წინ აფრიკიდან ჩამოსული სტუმრებისთვის ორგანიზებული იყო ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძრის მოლოცვა და დათვალიერება.

შეხვედრის დასაწყისში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარს მისასალმებელი სიტყვით მიმართა მიტროპოლიტმა კონსტანტინემ: „თქვენო უწმინდესობავ, უწმინდესო მეუფეო და მამაო! შედარებით ცოტა ხნის წინ მართლმადიდებლობაში დიდი ტრაგედია დატრიალდა, როდესაც მსოფლიო პატრიარქმა და მის შემდეგ ეკლესიების კიდევ რამდენიმე წინამძღვარმა სრულიად გასაკვირი და მოულოდნელი ქმედება განახორციელა: მათ აღიარეს უკრაინაში მომხდარი განხეთქილება. ჩვენს მრავალი ძმა-მღვდელში, რომლებიც სხვადასხვა ადგილებში მსახურობენ, მათ შორის აფრიკაში, ამ ქმედებამ საკმაოდ დიდი ჭმუნვა გამოიწვია. და როდესაც ალექსანდრიის პატრიარქი ევქარისტიულ კავშირში შევიდა სქიზმატიკოსებთან, ამ მღვდლებმა თქვენ მოგმართეს და თქვენ, თქვენო უწმინდესობავ, და წმინდა სინოდმა მამობრივი მწყემსური სიყვარული გამოიჩინეთ და აფრიკელი ძმები, მართლმადიდებელი მღვდლები, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ომოფორის ქვეშ მიიღეთ“.

„ახლა ამ მღვდლების რიცხვი ძალიან გაიზარდა, რადგან მთელს მართლმადიდებლურ აფრიკაში ბევრს სურს იყოს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი და არა განხეთქილების ნაწილი, – აღნიშნა საპატრიარქო ეგზარქოსმა. – და დღეს ამ დარბაზში თქვენთან, როგორც მამასთან, მოვიდნენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს აფრიკის საეგზარქოსოს ორი ეპარქიის, ჩრდილოეთ აფრიკისა და სამხრეთ აფრიკის, კეთილმოწესენი; ეს მამები თავიანთი ქვეყნების უფროსი მღვდლები არიან. ზოგიერთ ქვეყანაში ერთი საკეთილმოწესოა, ზოგან კი, მაგალითად, კენიაში, უკვე 10 საკეთილოწესოა, უგანდაში – 3, კამერუნში – 2, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში – ერთი, ტანზანიაში – 2. ანუ, მართლმადიდებლურ აფრიკაში 260-ზე მეტი მღვდელი და მართლმადიდებელ მორწმუნეთა დიდი სიმრავლე – ეს თქვენი სულიერი შვილებია, რომლებიც ყოველ ლიტურგიაზე თქვენს სახელს იხსენებენ“.

„თქვენო უწმინდესობავ, ჩვენ ველოდებით თქვენს საწინამძღვრო მამობრივ სიტყვას ჩვენი რუსული მართლმადიდებლური აფრიკის მიმართ“, – განაცხადა მიტროპოლიტმა კონსტანტინემ.

შეკრებილებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ: „ჩემთვის დიდი სიხარულია ყველა თქვენგანის ხილვა, თქვენთან საუბარი და თქვენი დარწმუნება იმაში, რომ რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ სრულიად უანგაროდ, ყოველგვარი სარგებლის ძიების გარეშე დაიწყო აფრიკაში თავისი მისიონერული მოღვაწეობა“.

„რუსეთს აფრიკის მრავალ ქვეყანასთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს. და აი, მიზეზი: ჩვენს ქვეყანას არასდროს მიულია მონაწილეობა მონებით ვაჭრობაში და არ მოუხდენია აფრიკის კონტინენტის კოლონიზაცია, –განმარტა წინამძღვარმა. – რუსეთი უზარმაზარი ქვეყანაა, ფართობით ყველაზე დიდი, მას ბევრი რესურსი აქვს და არასდროს უხელყოფია აფრიკის კონტინენტის რესურსებზე – ამით განსხვავდება ის ევროპული ქვეყნების უმეტესობისგან. პირიქით, XIX საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით მეოცე საუკუნეში, რუსეთი აფრიკელ ხალხებს ეხმარებოდა, და თქვენ ეს კარგად იცით – დამოუკიდებლობის დაცვაში, თავისუფლების მოპოვებაში, რათა კოლონიზატორების მიერ აფრიკელი ხალხების ექსპლუატაცია შეწყვეტილიყო და აფრიკას თავისუფალი, დინამიური განვითარების შესაძლებლობა მიეღო. რა თქმა უნდა, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ ჩვენი ქვეყანა აფრიკის კონტინენტს ძალიან დააახლოვა“.

შემდეგ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა გაიხსენა, რომ აფრიკელი ქრისტიანების მხარდაჭერის ერთ-ერთი ფორმა იყო და რჩება კადრების მომზადება რუსეთში, სადაც მრავალი აფრიკული სახელმწიფოს წარმომადგენელი სწავლობდა და სწავლობს საერო და რელიგიურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ დეტალურად ჩამოაყალიბა მიზეზები, რომლებმაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი საპატრიარქოს აფრიკის საეგზარქოსოს შექმნის აუცილებლობამდე მიიყვანა: ეს არის „ალექსანდრიის პატრიარქ თეოდორეს მხრიდან „მართლმადიდებელი ეკლესიის ფუნდამენტური კანონიკური წესებისა და ნორმების დარღვევა“; მისი „საბედისწერო გადაწყვეტილება“, შესულიყო ზიარებაში სქიზმატურ სტრუქტურასთან, რამაც თავად ალექსანდრიის საპატრიარქოს იერარქები სქიზმაში ფაქტობრივ გადახრამდე მიიყვანა, რასაც მოჰყვა აფრიკიდან მრავალი კლირიკოსის თხოვნა, – რომლებსაც არ სურდათ მონაწილეობა სქიზმატურ საქმიანობაში, – მიგვეღო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში.

„ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის სიმამაცე და სიმტკიცე, რასაც თქვენ ავლენთ ამ გზაზე, ჩემო ძვირფასო ძმებო, – აღნიშნა უწმინდესმა პატრიარქმა. – ვიცი, რომ ბევრ თქვენგანს მოუწია კანონიკური მართლმადიდებლობისადმი ერთგულების სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანის გამო გაჭირვების, მედიის თავდასხმების, მუქარების, მტრული ქმედებების და ა.შ. ატანა, მაგრამ თქვენ არ შედრკით, არ გადაუხვიეთ არჩეული გზიდან. მინდა მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს და, თქვენი მეშვეობით, ყველა აფრიკელ მღვდელსა და მორწმუნეს გაწეული ძალისხმევისთვის და, რაც მთავარია, მართლმადიდებელი ეკლესიის კანონებისადმი ერთგულებისთვის. თქვენი სახით მინდა მოვუწოდო აფრიკის საეგზარქოსოს ყველა სასულიერო პირს, მტკიცედ დარჩეს რწმენაში და არ შეუშინდეს არანაირი მუქარას“.

„ჩვენ ნამდვილად გვსურს, რომ აფრიკის მართლმადიდებელი ეკლესია იყოს ძლიერი, მტკიცე, ჰქონდეს უნარი კონტინენტის ხალხების გაერთიანებისა მართლმადიდებლური სარწმუნოების საფუძველზე, და მე მჯერა, რომ აფრიკაში მართლმადიდებლობას დიდი პოტენციალი და დიდი მომავალი აქვს. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს! მაგრამ ამისათვის ყველამ კარგად უნდა ვიმუშაოთ და ბევრი ვიმუშაოთ“, – ხაზგასმით აღნიშნა უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ და მიუთითა შემდგომი მუშაობის ძირითად მიმართულებებზე: სამრევლო თემების შექმნა, კატეხიზაციის განვითარება, სულიერი განათლება და სოციალური საქმიანობა. წინამძღვარმა განსაკუთრებით აღნიშნა მრევლისთვის მწყემსების დადებითი მაგალითის მნიშვნელობა და გაიხსენა, რომ „სასულიერო პირები ქრისტიანული ზნეობის მაღალ

იდეალებს უნდა შეესაბამებოდნენ არა მხოლოდ საეკლესიო მსახურებაში, არამედ თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაშიც“.

აფრიკის კონტინენტზე მრავალი წარსული ვიზიტის მოგონებების გაზიარების შემდეგ, მისმა უწმინდესობამ თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „ყველა თქვენგანზე მოვიხმობ, ძვირფასო ძმებო, ღვთის კურთხევას და მიხარია დღევანდელი ჩვენი შეხვედრა. თქვენგან ველი იმას, რითაც შემიძლია გავმდიდრდე – ეს არის თქვენი გამოცდილება, სიტუაციაში თქვენი გარკვეულობა“.

საპასუხო სიტყვაში მიტროპოლიტმა კონსტანტინემ მოსკოვში მოწვევისთვის მადლობა გადაუხადა უწმინდეს პატრიარქს საპატრიარქოს აფრიკის საეგზარქოსოს დელეგაციის სახელით; ისაუბრა, ასევე, ვიზიტის დროს ჩატარებულ ღვთისმსახურებებსა და ღონისძიებებზე, და მადლობა გადაუხადა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ხელმძღვანელობას და ქრისტიანული კულტურისა და მემკვიდრეობის მხარდაჭერის ფონდს, რომლის დახმარებითაც აფრიკიდან ჩამოსული 71 სემინარიელი სწავლობს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ცხრა სასულიერო სასწავლებელში და ხორციელდება ასევე მრავალი სხვა ინიციატივა.

შემდეგ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა დეტალურად უპასუხა აფრიკელი სასულიერო პირების შეკითხვებს.

საუბრის დასასრულს, საპატრიარქოს საეგზარქოსოს სასულიერო პირებმა მის უწმინდესობას სამახსოვრო საჩუქრები მიართვეს, მათ შორის, უგანდელი ხეზე მკვეთებლების მიერ დამზადებული საპატრიარქო კვერთხი და ღვთისმშობლის ხატი „ვნებისა“, რომელიც ინტარსიის ტექნიკით არის შესრულებული მავრიკიის კუნძულის ოსტატების მიერ.

უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ აფრიკელ მღვდელმსახურებს გადასცა თავისი წიგნი „თავისუფლება და პასუხისმგებლობა“ ინგლისურ ენაზე. გადაეცათ, ასევე, სამახსოვრო მედლები.

წინამძღვარმა საპატრიარქოს აფრიკის საეგზარქოსოს სასულიერო პირებს საეკლესიო ჯილდოები გადასცა.

სამღვდელთმთავრო შრომაში გამოჩენილი გულმოდგინებისთვის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ კაიროსა და ჩრდილოეთ აფრიკის მიტროპოლიტ კონსტანტინეს პატრიარქალური სამახსოვრო ჯვარი და პანაღია გადასცა.

მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოს აფრიკის საეგზარქოსოს ჩრდილოეთ აფრიკისა

და სამხრეთ აფრიკის ეპარქიების რიგ სასულიერო პირებს წმინდა ეკლესიის წინაშე გულმოდგინე მსახურებისთვის პატრიარქალური ყურადღების შემდეგი ნიშნები და საღვთისმსახურო-იერარქიული ჯილდოები გადაეცათ:

პატრიარქის სამახსოვრო გამშვენებული ჯვარი

დეკანოზ დანიელ ლუგოვოის, იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) ღირსი სერგი რადონეჟელის საკათედრო ტაძრის წინამძღვარს, სამხრეთ აფრიკის საეკლესიო ოლქის კეთილმოწესეს;

დეკანოზ დიმიტრი მატიენკოს, მავრიკიის კუნძულზე მოწამე მავრიკის ეტაძრის წინამძღვარს;

არქიმანდრიტ სოტირის (მატუმბი), კენიის რესპუბლიკის ცენტრალური ოლქის კეთილმოწესეს;

არქიმანდრიტ ფილარეტს (კიმარო), ტანზანიის რესპუბლიკის ცენტრალური ოლქის კეთილმოწესეს;

დეკანოზ ტიგრან ხაჩატრიანს, კურსკის ეპარქიის სასულიერო კლირიკოსს, საპატრიარქოს აფრიკის ეგზარქოსის თანაშემწეს საგანმანათლებლო საქმიანობაში;

ოქროსფერი გულმკერდის ჯვრის ტარების უფლება

მღვდელ ვასილი ვაიჩას, კენიის რესპუბლიკის ნიერის ოლქის კეთილმოწესეს;

მღვდელ ტიტე კიპნგენის, კენიის რესპუბლიკის ნანდის ოლქის კეთილმოწესეს;

მღვდელ თეოკლიტე კიტინჯის, კენიის რესპუბლიკის მერუს ოლქის კეთილმოწესეს;

მღვდელ ბარნაბა ნჯარიას, კენიის რესპუბლიკის აღმოსავლეთ ოლქის კეთილმოწესეს;

მღვდელ არსენი ჩიტვას, კენიის რესპუბლიკის კაკამეგას ოლქის კეთილმოწესეს;

მღვდელ ნიკანორე შილესის, კენიის რესპუბლიკის ვიჰიგას ოლქის კეთილმოწესეს;

მღვდელ პეტრე ლუტომიას, კენიის რესპუბლიკის ლუგარის ოლქის კეთილმოწესეს;

მღვდელ პატაპი ჩასიას, კენიის რესპუბლიკის მიგორის ოლქის კეთილმოწესეს;

მღვდელ ანგელოს ორიბეს, კენიის რესპუბლიკის ჰომაბეის ოლქის კეთილმოწესეს;

მღვდელ თომა სებირანდას, უგანდის რესპუბლიკის ცენტრალური ოლქის კეთილმოწესეს;

მღვდელმონაზონ სილუანეს (ბრაუნი), უგანდის რესპუბლიკის აღმოსავლეთ ოლქის კეთილმოწესეს;

მღვდელ ნიკოლოზ რამაროსონს, მადაგასკარის რესპუბლიკის სამხრეთ ოლქის კეთილმოწესეს;

მღვდელ ვასილი რანდრიანაივოს, მადაგასკარის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ოლქის კეთილმოწესეს;

დეკანოზ პეტრე მაჯუნეს, ტანზანიის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ოლქის კეთილმოწესეს;

მღვდელ იოაკიმე ბაკალის, მალავის რესპუბლიკის კეთილმოწესეს;

მღვდელ ნიკოლოზ მუსოიას, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის კეთილმოწესეს;

მღვდელ სილუანე ნკუნკუს, კონგოს რესპუბლიკის კეთილმოწესეს;

მღვდელ სერგი ვოემავას, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის კეთილმოწესეს;

მღვდელ პავლე ატანგანას, კამერუნის რესპუბლიკის ცენტრალური ოლქის კეთილმოწესეს;

მღვდელ გერმანე მბარგას, კამერუნის რესპუბლიკის დასავლეთ ოლქის კეთილმოწესეს;

მღვდელ დანიელ აგბაზას, ნიგერიის რესპუბლიკის კეთილმოწესეს;

მღვდელ პართენი დანსუს, დასავლეთ აფრიკის ოლქის კეთილმოწესეს;

მღვდელი დიმიტრი ნტაჰონშიკიეს, ბურუნდის რესპუბლიკის კეთილმოწესეს;

მღვდელ პეტრე ბიკამუმპაკას, რუანდის რესპუბლიკის კეთილმოწესეს;

მღვდელ ათანასე ებელებელეს, გაბონის რესპუბლიკის უფროს მღვდელს;

მღვდელ სერაფიმე ლუმანადიოს, ანგოლას რესპუბლიკის უფროს მღვდელს.

„ყველას გულწრფელად გილოცავთ ჯილდოებს და მიხარია აფრიკის კონტინენტზე ღირსეულად მომსახურე მღვდლების სიმრავლე, რომლებსაც ეს ჯილდოები მიენიჭათ. გისურვებთ ყველას ღვთის შეწევნას, სულიერი და ხორციელი ძალების განმტკიცებას, რათა კიდევ მრავალი წლის განმავლობაში განაგრძოთ საკუთარი მსახურება აფრიკის კონტინენტზე. უფალმა დაგიცვათ ყველანი!“ – მიმართა უწმინდესმა მეუფემ აფრიკელ სასულიერო პირებს.

***

საპატრიარქოს აფრიკის საეგზარქოსო შეიქმნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 2021 წლის 29 დეკემბერს გადაწყვეტილებით. იმ დროისთვის აფრიკაში რუსეთის ეკლესიის ოთხი მღვდელმსახური იყო, რომლებიც ოთხი ქვეყანის ხუთ სამრევლოში მსახურობდნენ. ამჟამად შავი

კონტინენტის 36 ქვეყანაში მოქმედებს საპატრიარქოს საეგზარქოსოს 332 სამრევლო, სადაც 270-ზე მეტი მღვდელი და დიაკონი მსახურობს. მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით, ოცდაათი სასულიერო პირი – საეკლესიო ოლქების კეთილმოწესენი და უფროსი მღვდლები აფრიკის 22 ქვეყნიდან – 21-29 აგვისტოს რუსეთში მომლოცველობით მოგზაურობას განახორციელებენ.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის პრეს-სამსახურის ფოტო

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93502/